# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**მორიგი სხდომის**

# ო ქ მ ი N10

ქალაქი ბათუმი 2023 წლის 24 ოქტომბერი

11$^{00}$ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – რამაზ ჯინჭარაძე.

**ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :**

ირაკლი თავდგირიძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ნატალია ზოიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მინდია გოგუაძე - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დავით მახარაძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ცხოიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გოჩა მგელაძე - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე – საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ აფხაზავა - ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ასლან ბალაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

როსტომ ხალვაში - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ბერიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული

საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან დოლიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ნოდარ დუმბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე;

ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ნაზი ფუტკარაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ბაჩი მექვაბიშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;

გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი;

აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი;

თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი;

რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი;

ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

თეკლა კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;

ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;

ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

მამუკა ქობულაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით)

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

**სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;

-ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

-საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

-საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა სხდომაზე დამსწრეებს და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრე-ბა საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალის-წინებული 12 საკითხი.
საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხი ეხება

ხიმშიაშვილის ქუჩას, სადაც ხარვეზი გამოსასწორებელია, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ განუმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის გათვალისწინებით წარმოდგე-ნილია პროექტი.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნდა აუდიტის ორი დასკვნა, პირველი, რომელიც ეხება ფინანსურ და ინფრასტრუქტურულ ნაწილს, რისთვისაც მოითხოვა დღესვე აუდიტის სამსახურთან ერთად განხილული იქნას დასკვნები. გარდა ამისა, მოითხოვა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომაზე საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის დასწრება, წერილებზე პასუხმიუღებლობის გამო.

საკრებულოს წევრმა ნოდარ ლუმბაძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით გამოთქვა შენიშვნები, კერძოდ: ტრადიციად იქცა საკრებულოს სხდომამდე დამატებით შემოსული საკითხების განხილვა, გამომდინარე აქედან წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7, 8, 9 და მე-10 საკითხის ამოღების თაობაზე, რადგან საკრებულოს კომისიის დაწყებამდე 2 საათით ადრე შემოიტანეს პროექტები განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ დამატებით ერთი საკითხი შემოვიდა, რომელიც განიხილა შესაბამისმა დარგობრივმა კომისიამ.

საკრებულოს წევრმა ნოდარ ლუმბაძემ აღნიშნა, რომ გადაამოწმა რამდენიმე მისამართი, სადაც არ იყო საინფორმაციო დაფა გამოკრული და დარღვეულია საჯაროობა. გამომდინარე აქედან მოითხოვა საკითხების ამოღება.

საკრებულოს წევრმა, მინდია გოგუაძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა დეტალურად წარმოდგენილი საკითხები და ქალაქის მერიას მკაფიოდ მიეცა დავალება ხარვეზების გამოსასწორებლად. პირველი ეტაპი არ ნიშნავს იმას, რომ ნებართვა გაცემულია. შესაბამისად, მისთვის მიუღებელია დღის წესრიგიდან საკითხების ამოღება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ბანერები გამოკრულია და წარმოდგენილი ხარვეზები გაითვალისწინება.

საკრებულოს წევრმა, ზურაბ ნაკაიძემ აუდიტის დასკვნის მოსმენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კარგი იქნება, ჯერ საკრებულოს საფინანსო და ინფრა-სტრუქტურის განვითარების კომისიებმა განიხილოს და შემდეგ მოხდეს მისი საკრებულოს სხდომაზე გამოტანა.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ გააკეთა განცხადება დღის წესრიგით მე-11 საკითხთან დაკავშირებით, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი თქვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მი-ღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც აქვს პირადი ინტერესი ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც გავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე. გამომდინარე აქედან საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე ამ საკითხის განხილვაზე უარს ამბობს და ეს იყოს მაგალითი საჯარო მოხელეებისთვის, რომ კანონით და-კისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულონ და არ მიიღონ ისეთი სა-კითხების განხილვაში მონაწილეობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს რაიმე ფაქტორებმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან მე-7, 8, 9 და მე-10 საკითხის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას 32
ესწრებოდა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -14 (ნ. დუმბაძე, ნ. ნაცარაშვილი, ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ა. ვარშალომიძე, ი. ძიძიგური, თ. კავაზაშვილი, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)
წინააღმდეგი - 18

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №300ა-ს მიმდებარედ არსებული 74 კვ.მ. და 611 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფო-სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ – დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ – დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ – დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალ-დარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის

– ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი პირთა განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლიშა მამულაძე)

**საკითხი 6.** „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „მმ ჰოლდინგი“).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმში, ადლიას ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს ,,ტემპო ჰოლდინგი“)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 9.** „ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „ველ ბილდინგი“)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „გუმბათი რეზიდენსი“ და შპს ,,გარდენ ქეის“)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ.N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „ბლუ სი თაუერ''; შპს „ცენტრალ სითი ლაინი).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმში ზედა ლელის ქუჩისა და ზედა ლელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

| | |
|---|---|
| კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: | 32 |
| კენჭისყრისშედეგები: | მომხრე –18<br>წინააღმდეგი – 0<br>არ მიიღო მონაწილეობა –14 (ნ. ლუმბაძე, ნ.ნაცარაშვილი, ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ა. ვარშალომიძე, ი. ძიძიგური, თ. კავაზაშვილი, რ. ხარაზი, ქ. ლოსტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე, ა. გვიანიძე, ვ. დარჩია) |

საკრებულოს წევრი, რევაზ ხარაზი დაჟინებით ითხოვდა საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირთან შეხვედრას, რომელიც წერილობით მიაწოდა მერიას და საკრებულოს, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ უპასუხა, რომ შემოსული ყველა წერილი გადაგზავნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ ისაუბრა მოსახლეობის პრობლემებზე და აღნიშნა, რომ აფხაზეთის დასახლებაში #5ა-ში ცხოვრობს ოჯახი, სადაც ქალბატონს ჯერ ერთი ფეხი მოკვეთეს, მერე მეორე, რომელიც ითხოვს ფანჯრის ჩაჭრას და პანდუსის ჩადგმას. ანალოგიური გაკეთებულია გვერდით კორპუსში. განცხადება შემოიტანეს და უარი უთხრეს. ასევე ნონეშვილის #13ა-ში ცხოვრობს ოჯახი მცი-რეწლოვანი ბავშვებით, ეზოც და სახლიც გაჟღენთილია ნავთით, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ საკითხი შესაბამის სამსახურებთან ერთად განხილული იქნა და დღეისათვის მიიღებენ პასუხს და პირადად შეხვდება ოჯახს.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკის მუშაობისას გაუსაძლისი მდგომარეობა იქნება და დროებით ქირით გადაყვანილი იქნას ოჯახი.

საკრებულოს წევრმა, ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბოლო დღეებში სოციალურ ქსელში მოთხოვნაა ცნობილი ძაღლის კუპატას გარდაცვალების გამო, ქალაქში ბიუსტის დადგმა ან ძაღლსაშენის აშენების შემდეგ მისი სახელის მინიჭება. მერიას მიმართა ამ საკითხზე მუშაობის დაწყება, ასევე მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მადლობა გადაუხადა რეიდებისთვის, ქალაქი გაათავისუფლეს უსახური მანქანე-ბისგან.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა განაცხადა, რომ დღეს დღის წესრიგში სურდა საკითხების დამატება, რაზეც უარი მიიღო. მერიის სამსახურები, მისთვის როგორც რიგითი დეპუტატისთვის არის ჩაკეტილი

და ვერ ღებულობს საჯარო ინფორმაციას. ქალაქს მართავს არაკომპეტენტური ადამიანი, რომელიც პირადი ინტერესებით არის დაინტერესებული. ქალაქში სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით პრობლემაა. ახალგაზრდები გარბიან ქალაქიდან, რადგან პერსპექტივა არ აქვთ. დღეს კი დღის წესრიგით განსახილველი საკითხები პარტია ,,ქართული ოცნებასთანაა" დაკავშირებული.

საკრებულოს წევრმა, ბაჩი მექვაბიშვილმა იპოდრომის მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოცხადებული ტენდერი ჩავარდა. წინააღმდეგი არ არის, თუმცა სტანდარტებით 700-300-ზე უნდა იყოს შეჯიბრების ჩასატარებლად, მაგრამ სტანდარტი არ არის დაცული. დარგის სპეციალისტებიც შეწუხებულია ამ საკითხზე. მან მოითხოვა საკითხზე დაინტერესება. გარდა ამისა ნაგვის ურნებთან დაკავშირებით გაუსაძლისი მდგომარეობაა.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე ქალაქის უმნიშვნელოვანეს საკითხს შეეხო, რომელიც ქალაქისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, როგორც ამ ქალაქის ტურისტული ინდუსტრიისთვის, ასევე ზოგადად ამ ქალაქის მაცხოვრებლებისთვის. პრობლემაა: გაუთავებელი მშენებლობები და კოეფიციენტების გადამეტებები, ის რაც კანონში გამონაკლისის სახითაა ჩადებული, განსაკუთრებულ შემთხვევებში დღეს ეს იქცა წესად, ხოლო სტანდარტული მშენებლობები, სადაც არ ხდება კოეფიციენტების გადამეტება, ეს იქცა გამონაკლისად, რადგან ცოტაა ადამიანი, რომელიც აშენებს დადგენილი კოეფიციენტების შესაბამისად. პრაქტიკულად ყოველ საკრებულოს სხდომაზე რამდენიმე საკითხი შემოდის განსახილველად, რომელიც სერიოზულ პრობლემად იქცა და რიგ ადგილებში, უბნებში გადაადგილება შეუძლებელია. გაუთავებელი საცობები ქალაქში უდიდეს დარტყმას აყენებს ტურისტულ ინდუ-სტრიას, ამავდროულად გენერალური გეგმის მისაღებად მზადებაა, თუმცა მიღე-ბამდე რჩება შთაბეჭდილება, რომ ასწრებენ, რაც შეიძლება მეტი საკითხის გამოტანას საკრებულოს სხდომაზე და გენერალური გეგმის დამტკიცებას აზრიც კი შეიძლება დაეკარგოს. სტატისტიკით ბინების რაოდენობის გაყიდვა მცირდება და ესეც ქალაქს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. საკრებულოს წევრებს, ადმინისტრაციულ თანამშრომლებს ევალებათ ამ საკითხებზე ფიქრი, რადგან პრაქტიკულად დღეს ეს არის რამდენიმე ოჯახის გამდიდრება, ხოლო დანარჩენების შემოსავლების გარეშე დარჩენა. კიდევ ერთხელ მოუწოდა შტამპური წესით $K^2$ კოეფიციენტის გამონაკლისის დაშვება არ შეიძლება და ამ საკითხებზე კიდევ ერთხელ დაფიქსირება.

საკრებულოს წევრს, ალექსანდრე ვარშალომიძეს არ შეუძლია არ დაეთანხმოს კოლეგას, თუმცა გამოეხმაურა მე-9 საკითხს, სადაც ძველ ბათუმში უნდა დაკმა-ყოფილდეს მოსახლეობა, თუმცა სანაცვლოდ ითხოვს გონიოში კოეფიციენტის მაქსიმალურად გაზრდას. კარგი იქნება იცნობდნენ კომპანიის მფლობელებს და რო-მელ პარტიასთან არიან დაახლოებული. ასევე უსასყიდლოდ სახელმწიფოზე მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხებზე იკვეთება ინტერესები.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ რამდენიმე კვირის წინ ქალაქი იყო ისტორიული ფაქტის მოწმე და საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე-ობდა ისტორიული პროცესი საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურასთან დაკავშირებით. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევ-ნების მეორე ტურის წინ ტელეფონზე შედიოდა ზარი, რომელზეც მოუწოდებდა პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას. საზოგა-დოებას შეახსენა, რომ ზარის განმახორციელებელი, მათი გუნდის წევრი როგორ ექცევა პრეზიდენტს, რომელიც დაჩოქილი ითხოვდა გამარჯვებას.

საკრებულოს წევრმა, ნოდარ ღუმბაძემ ისარგებლა მასზე მინიჭებული უფლებამოსილება და მოითხოვა ფრაქციის სახელით 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.
სხდომა განახლდა 11.00 საათზე.

შესვენების შემდეგ საკრებულოს წევრმა, ნოდარ ღუმბაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია ,,ერთიან ნაციონალურმა მოძრაობამ" სხვა ოპოზიციონერ კოლეგებთან ერთად კონსულტაციის შემდეგ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომის დატოვების თაობაზე, რადგან პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" წარმოადგენს 16 საკრებულოს წევრს, ნინო ცხვარაძე არ ესწრება დღევანდელ სხდომას, შესაბამისად ოპოზიციის გარეშე, სხდომისთვის საკმარისი კვორუმი არ აქვს ქართულ ოცნებას.

სხდომა დატოვა ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა (ნ. ღუმბაძე, ნ.ნაცარაშვილი, ნ. ფუტკარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ა. ვარშალომიძე, ი. ძიძიგური, თ. კავაზაშვილი, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია, ი. ზოიძე), პარტია "გახარია საქართველოსთვის" წევრმა აკაკი გვიანიძემ და პარტია ,,ლელოს" წევრმა ვაჟა დარჩიამ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მადლობა გადაუხადა საკრებუ-ლოს წევრს ნატალია ძიძიგურს ქალაქისთვის კარგი გადაწყვეტილების მიღები-სთვის. საკრებულო იმიტომაა შეკრებილი, რომ ქალაქისთვის სასარგებლო საკითხები განიხილოს.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიძიგურმა სიცხადე შეიტანა, რაც იმ წუთას მოხდა, ის არის ქალაქისთვის და მას სისხლით და ხორცით დაიცავს. მისთვის ნებისმიერი კრიზისი, ხელისშემშლელი ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქცი-ონირებისთვის არის მიუღებელი, ეს პოზიცია მას ჰქონდა ბოლო ორი წლის მანძილზე და ის არასდროს არ დაუშვებს იმას, რომ გაჩერდეს ადგილობრივი თვითმმართველობა.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა და წევრ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხია, რომელიც ახლოვდება და დიდი ალბათობით 99% დადებითად გადაწყდება.

**მოისმინეს:**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის
მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №300ა-ს მიმდებარედ არსებული 74 კვ.მ. და 611 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვე-თების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გად-ცემის შესახებ"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსის
მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 09 ოქტომბრის №6/54560 (№06-1423282333-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო), შპს „ტრანსაუტოს" (ს/ნ: 446986450) (შემდგომში - კომპანია) განცხადების საფუძველზე განიხილება, ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N300ა-ს მიმდებარედ არსებული 74 კვ.მ. (ს/კ: 05.32.22.011) და 611 კვ.მ. (ს/კ: 05.32.22.031) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით გადაცემის საკითხი. წერილში ცნობის სახით განმარტებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის N2104 განკარგულების საფუძველზე, კომპანიას 25 წლის ვადით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N220-ში მდებარე 10 001 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N05.32.22.029). იჯარის უფლებით გადაცემული ქონების სრულყოფილი ფუნქციონირებისა მიზნით, კომპანიის მიერ დამატებით მოთხოვნილია მომიჯნავედ არსებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული, N05.32.22.011 და N05.32.22.031 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით გადაცემა. წერილში ასევე აღნიშნულია, იმისათვის რომ განხორციელდეს ტერიტორიის სივრცობრივი კონსოლიდირება და პროექტის განვითარებისთვის შეიქმნას ხელსაყრელი ურბანული გარემო, ქ.ბათუმის

მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა განიხილოს N05.32.22.011 და N05.32.22.031 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთების (ს/კ: №05.32.22.011; და ს/კ: №05.32.22.031) შპს „ტრანსაუტო"-სათვის (ს/ნ: 446986450) იჯარის უფლებით გადაცემა;

ბ) გაუქმების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მათი შპს „ტრანსაუტო"-სათვის (ს/ნ: 446986450) იჯარის უფლებით გადაცემა.

სხვა შემთხვევაში სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტის განხორციელება. ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო"-ს მიერ მომზადებულია მოსაწყობი ქუჩის წინასწარი პროექტი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეულ კერძო და იური-დიული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების

ათვისებას (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა), რაც უნდა განხორციელდეს მესაკუთრეებთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. ასათვისებელი, უძრავი ქონების მესაკუთრეებს კომპენსაციის სახით უნდა აუნაზღაურდეთ მათი საბაზრო ღირებულება, ან გადაეცეს საცხოვრებელი ფართი (ტოლფასოვნად), „საქართველოს კონსტიტუციის" და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

პროექტი მოიცავს კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ 9 უძრავ ქონებას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 2 უძრავ ქონებას, მათგან 6-ზე განთავსებულია შენობები. ასათვისებელია მიწის ნაკვეთების 3502,0 კვ.მ. ფართობი და მესაკუთრეების შენობა-ნაგებობები.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთ-რებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონო-მიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 16 აგვისტოს N03/613 და 20 აპრილის N03/285 წერილები, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" 2023 წლის 14 აგვისტოს Nაგრო-01/259 და 18 აპრილის Nაგრო-01/114 კორესპონდენციასთან ერთად რომელშიც დასმულია საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებების (ს/კ: 05.33.22.006; 05.33.22.021; 05.33.22.023; 05.33.22.022; 20.39.01.062; 20.39.01.070; 05.21.55.021.01.503) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებასთან და ს/კ 05.33.22.024-ის მიმდებარედ მდებარე, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

საკუთრებად აღრიცხვისათვის პირველად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შემდგომში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისათვის" სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, მოთხოვნამდე ვადით გადაცემის მიზნით. ამასთანავე აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებებზე ძირითადად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით უკვე განხორციელებულია სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, რაზედაც გაწეულია შესაბამისი ხარჯები და სამომავლოდაც იგეგმება ასეთი ხარჯების გაწევა, რის გამოც მიზანშეწონილია ეს უძრავ ქონებები აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკად და შემდგომ განხორციელდეს ზეხსენებული ტრანზაქციები ამ უძრავი ქონებების სრულად, უსასყიდლოდ, მოთხოვნამდე ვადით ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" სარგებლობაში გადაცემა. აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა ქალაქი ბათუმში, დაბა ჩაქვში მდებარე 6 (ექვსი) ერთეული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად, (საკადასტრო კოდებით: 05.33.22.365, 05.33.22.364, 05.33.22.362, 05.33.22.367, 05.33.22.363 და 05.33.22.366) .

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 17 აგვისტოს N01-01-10/4576 კორესპონდენციით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას თვიდან ეთხოვა 18 (თვრამეტი) ერთეული უძრავი ქონების, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვისა და რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, შემდგომში უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" სარგებლობაში გადასაცემად.

სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2023 წლის 05 ოქტომბრის N1/1-6239 ბრძანებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე საკუთრებაში გადმოეცა 9 (ცხრა) ერთეული უძრავი ქონება (თანახმად დანართისა), რომელიც საკუთრებაში უნდა გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, შემდგომში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას
ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

| | |
|---|---|
| მ ო ი ს მ ი ნ ე ს : | **საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვა-ლისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალ-დარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრა-ციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალ- |

დარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზ-ღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგუ-ლების პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალის-წინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდა-რღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრებიან:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" თანამშრომლები – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43-ე, $43^{1}$, $43^{2}$, $51^{3}$, $53^{3}$, 55-ე, $55^{3}$, $127^{1}$ მუხლის მე-5 ნაწილით, 150-ე, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $153^{3}$ მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, $166^{2}$ და $173^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევებზე;

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ბულვარი"-ს თანამშრომლები, მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $153^{3}$ მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით და $166^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო"-ს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $46^{5}$, $46^{6}$, 172-ე მუხლით (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით), $172^{6}$, $172^{8}$, $172^{9}$ და $173^{14}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევებზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგე-ნაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრებიან:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" თანამშრომლები – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $42^{11}$, $55^{2}$, $55^{6}$, $64^{2}$, $77^{1}$, $77^{2}$, $82^{5}$ (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, $107^{4}$, $114^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, $119^{1}$, $134^{1}$, $146^{1}$, 148-ე, $150^{1}$, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $151^{2}$, 152-ე, $152^{2}$, $152^{5}$-$152^{9}$, $153^{3}$ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, $153^{4}$, $156^{1}$, $158^{5}$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე და $159^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) შპს „სანდასუფთავება"-ს თანამშრომლები – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $82^5$ (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), $146^1$, 148-ე და 151 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ბულვარი"-ს თანამშრომლები, მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $82^5$ (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, $107^4$, $146^1$, 148-ე, $150^1$, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $151^2$, 152-ე, $152^2$, $153^3$ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, $153^4$, 159-ე და $159^1$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა, დავით მახარაძემ დასვა კითხვა ჩხაიძის ქუჩაზე ავტომანქანებით გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ დამატა ცვლილება მანქანებიდან გარე ვაჭრობა ითვალისწინებს სამართალდარღვევათა საგნის კონფისკაციას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი 6.** „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საინჟინრო გზების ნაწილში ცვლილების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე შპს „ორბი ჯგუფის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

05.24.04.054; ს/კ 05.24.04.055-ში საპროექტო გზების გაყვანის საკითხს და შ. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული შიდაკვარტალური გზების საპროექტო, საინჟინრო გზების რუკაზე დატანას.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრმა, მინდია გოგუაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტში ტექნიკური ხარვეზია, რომელიც დაკორექტირდება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩაზე იყო დატანილი საპროექტო გზა, რომელიც არანაირ ქალაქგეგმარებით საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან იქვე მომიჯნავე 7-8 მეტრში არის გზა, სადაც ტექნიკური შეცდომაა და დარედაქტირდება დოკუმენტში.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მოისმინეს:** **საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „მმ ჰოლდინგი").

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება, ვინაიდან წარმოდგენილი გეგმარებითი ერთეული მოიცავს ბევრ საკადასტრო კოდს, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტში მიეთითოს ,,გარკვეული ტერიტორიები'' .

განმცხადებელი - შპს ,,მმ ჰოლდინგის'' (405381242);

გეგმარებითი ერთეული - (ს.კ. 05.27.37.015, 05.27.37.023, 05.27.37.001, 05.27.37.033, 05.27.37.030, 05.27.37.037, 05.27.37.027, 05.27.37.013, 05.27.37.038,

05.27.37.021, 05.27.37.020, 05.27.37.005, 05.27.37.029, 05.27.37.028, 05.27.37.003, 05.27.37.036, 05.27.37.035, 05.27.37.014, 05.27.37.006, 05.27.37.022, 05.27.37.012, 05.27.37.019, 05.27.37.004, 05.27.37.002, 05.27.37.024, 05.27.37.034, 05.27.37.010, 05.27.37.011, 05.27.37.007 და დაურეგისტრირებელი 3 მიწის ნაკვეთი).

საპროექტო ტერიტორია - ქალაქ ბათუმში, მ. კომახიძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე, ს/კ 05.27.37.015; 05.27.37.023; 05.27.37.001; 05.27.37.033; 05.27.37.030; 05.27.37.037 და დაურეგისტრირებელი, დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება 9,0-მდე.

დაგეგმვის მიზნებია:
• განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
• ტერიტორიის განახლება და განვითარება;
• მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
• სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
• განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
• ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმში, ალიას ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს ,,ტემპო ჰოლდინგი")

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, ალიას ქ. N53-ში

მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე განკარგულების მიღება.
განმცხადებელი - შპს ,,ტემპო ჰოლდინგი'' (ს/N445686614);
პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=9,0-მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას. საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში (სზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-4), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=2,5-ს.
განმცხადებელი იღებს ვალდებულებას დაგეგმილი მშენებლობისათვის გადამეტებული კოეფიციენტების 10 პროცენტი, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გადასცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც დაზუსტდება პროექტირების ეტაპზე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 9.** „ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „ველ ბილდინგი")

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 17 ივლისს მომართა შპს ,,ველ ბილდინგმა'' (ს/კ -445708878) წინადადებით, რომ სურვილი აქვს ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ.N9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ - 05.21.12.016) არსებული ავარიული სახლის ათვისების (დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით) ქ. ბათუმში, ა.პირველწოდებულის ჩიხი 1 ქ.N11 ში მდებარე მიწაზე (ს/კ - 05.36.24.240); ამ მიზნით, ითხოვს დროებითი ხელშემწყობი ღონიძიების გამოყენებას ქ. ბათუმში, ა.პირველწოდებულის ჩიხი 1 ქ. N11 ში მდებარე მიწაზე ა. პირველწოდებულის ჩიხი 1 ქ. N11 ში მდებარე მიწაზე (ს/კ -05.36.24.240) განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას 4,5-მდე.

კომპანიის მიერ ხდება ავარიული სახლის 7 მესაკუთრის დაკმაყოფილება, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები, აქედან ერთ ერთი მესაკუთრის დაკმაყოფილება ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ინვესტორი კომპანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადასცემს მომატებული კ2 კოეფიციენტის 10 პროცენტს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „გუმბათ რეზიდენსი“ და შპს ,,გარდენ ქეის“)

(მომხს:ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე–საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავდა გეგმარებით ერთეულში შემავალ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 05.36.25.229, 05.36.25.354, 05.36.25.544, 05.36.25.046, 05.36.25.287, 05.36.25.376, 05.36.25.545, 05.36.25.481, 05.36.25.482, 05.36.25.217, 05.36.25.014 (და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი) სასტუმროს ტიპის აპარტოტელის კომპლექსის, აგრეთვე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 05.36.25.167 მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსებისათვის, ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმით განსაზღვრული განაშენიანების პარამეტრების ცვლილებების მიზნით და მოიცავს როგორც დასაბუთებას, ეფექტიანობის შეფასებას, ასევე, გრაფიკულ ნაწილს, განაშენიანების ესკიზის ჩათვლით კონცეფციაში წარმოდგენილი ტერიტორიის გამოყენების რუკაში გეგმარებითი ერთეულის მიმართ განსაზღვრულია როგორც განაშენიანების პარამეტრები, ასევე ესთეტიკური პარამეტრები, გამწვანების და სხვა პირობები.

საპროექტო მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ სამშენებლო მიწის ნაკვეთებს, რომელთაგან 12 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი) დაგეგმილია სასტუმროს ტიპის აპარტოტელის კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც ასევე განთავსებული იქნება საზოგადოებრივი დანიშნულების (კომერციული, კვების) ობიექტები, მოეწყობა პარკინგი მიწისქვეშა სართულში. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებიდან რამოდენიმეზე განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ხოლო ერთ მიწის ნაკვეთზე სასტუმრო (დანარჩენი მიწის ნაკვეთები არ არის განაშენიანებული), რომელთა სანაცვლოდ დაგეგმილია საპროექტო კომპლექსის განთავსება. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 05.36.25.167,

რომელიც თავისუფალი, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება, რომელშიც განთავსდება ბინები, კომერციული დანიშნულების ობიექტები და პარკინგი მიწისქვეშა სართულში. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ასევე დაგეგმილია გამწვანების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის განხორციელების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია მიწის ნაკვეთებზე, ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრისშედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8–ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10–ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113–ში; ფიროსმანის ქ. N12–ში; გორგილაძის ქ.N111–ში და გორგილაძის ქ. N120–ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „ბლუ სი თაუერ''; შპს „ცენტრალ სითი ლაინი).

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე–საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგუ–ლების პროექტის მიღების მიზანია ქ.ბათუმში, ფიროსმანის ქ.N8-ს მიმდება–რედ; ფიროსმანის ქ. N10-ში, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთ–ბზე (ს/კ.(ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211 დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს განაშენიანების დეტალური გეგმის პირველეტაპს.

განმცხადებელი - შპს „ბლუ სი თაუერ'', ს/ნ 445597284, შპს „ცენტრალ სითი ლაინი'', ს/ნ 445686687. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლო–ბითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 დანართის - გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის (სარეკომენდაციო) მე-9 პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით სულ გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 108500 კვ.მ-ს. გეგმარებითი ერთეული მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს და მათი ფართობი შეადგენს 8003,00 კვ.მ-ს, • დაგეგმვის ძირითადი მიზნები და ამოცანები, მათი მიღწევისა და გადაწყვეტის გზები; დაგეგმილი პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულში შემავალ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 05.24.05.126, 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, უნდა განთავსდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=17,0 პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=17,0-მდე, რაც „საქართ–ველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენი–ანების დეტალური გეგმის შემუშავებას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმში ზედა ლელის ქუჩისა და ზედა ლელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ–ლოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე–საზოგადოებას და აღნიშნა, რომ თეატრალურ ფიცარნაგზე მოღვაწე ადამიანებს ქართველები ორი, ერთი და იგივე პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვით მოიხსენიებენ, ესენია: მსახიობი და არტისტი. მსახიობი ბევრია ლევანდელ სცენის მოღვაწეთა შორის, არტისტი კი ძალიან ცოტა. ერთ–ერთი ყველაზე გამოკვეთილი და ღირსეული ამ არტისტებს შორის კახი კავსაძე გახლდათ.

მის მიერ განსახიერებული როლები, როგორც თეატრში, ასევე კინოში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდნენ მაყურებელთა შორის, რაც უმთავრესად კახი კავსაძის აქტიორული ნიჭის დამსახურება იყო.

დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი 1959 წელს.

1959 წლიდან რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი იყო. აღსანიშნავი როლებია: ადამი ("ღვთაებრივი კომედია"), თავადი კოწია ("გუში-ნდელნი"), დევდარიანი ("საბრალდებო დასკვნა"), ილიკო ("მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), სიმონ ჩაჩავა("კავკასიური ცარცის წრე"), ლორდ ჰასტინგსი ("რიჩარდ III"), კენტი ("მეფე ლირი"), რასპუტინი ("კვაჭი კვაჭანტირაძე"), ბატონი დევი ("მერე რა, რომ სველია სველი იასამანი"). კინოში მისი დებიუტი შედგა 50-იანი წლებიდან; 70-ზე მეტ მხატვრულ, დოკუმენტურ, მოკლე და სრულმეტრაჟიან ფილმშია გადაღებული.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას
ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს: მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**სხდომის მდივანი: მზევინარ წულუკიძე**